ფასი 10 კ.

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

კვირა, 4 მაისი. № 9.—1914 წ.



ანტონ ფურცელაძე

(1838—1913)

გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულების გამო

№ 9

# შინაარსი

1) დასასრულის დასაწყისი, მეთაური 1
2) სათეატრო საზოგადოება თუ პროფესიონალური კავშირი? შალვა დადიანისა 1
3) ლოცვა, ნ. უ—სა 3
4) ქართველი დედა, ვიაჩ. ჯიქიასი 3
5) წერილი (ლექსი) სანდრო შანშიაშვილისა 4
6) კიბესთან, ვალ. შალიკაშვილისა 4
7 სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი—ანტ. ფურცელაძე, ი—. ისა 5
8) სათეატრო შენიშვნები, აქილესისა 6
9) უილიამ შექსპირი, ი. არიმათიელისა 7
10) მოჩვენება (ლექსი), მთის ნიავისა 8
11) მეუფე ურიათა, დიდი მთავრის (კ. რ-სა) თარგ. კ. მესხისა 10
12 სქესობრივი ცხოვრება და ხელოვნება (ავგ. ფორელით) დ. ცაგარელისა 11
13) მაისში (ლექსი) კ. ჭიჭინაძისა 12
14 ქართველ მწერალთა წერილები (მოგონება),—ილ. ჭავჭავაძე,—სოფ. მგალობლიშვილისა 13
15) გმირი (ლექსი), ვ. გორგაძისა 14
16) სია ქართველ მსახიობთა, შალ. დადიანისა 15
17) წვრილი ამბები 16
18) ავადმყოფ მსახიობქალის დესპინე ივანიძის სასარგებლოდ 16



მეფე ლირი (კ. ყიფიანი)

იხ. ამავე ნომერში უილიამ შექსპირი

ქართული თეატრი

კვირას, 4 მაისს 1914 წ.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**სამშობლო**

ისტ. დრ. 5 მოქ. და 7 სურათად თავ. დ. ერისთავისა

**მონაწილეობენ:** ქ. ქ. მდივანი, შოთაძე, ჯავახიშვილი; ბ. ბ. ბარველი, გუნია, გომელაური, ხარდალიშვილი, თუხარელი, ყალაბეგიშვილი, ფრანგიშვილი, ხონელი, შალიკაშვილი და სხვა.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე** ადგილების ფასი დაკლებულია

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზ-ბა რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი**

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 9

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („**სოროპანი**"-ს სტამბაში). მისამართი:

**Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"**
**Іос. Имедашвили.**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 9 კვირა, 4 მაისი 1914 წ.


## 4 მაისი.

**დასასრულის დასაწყისი.** დასრულდა სეზონი, მსახიობნი მიმოიფანტნენ, წარმოდგენები შეწყდა, დრ. საზ. საქმიანობა შეჩერდა... საქმეს მორჩნენ...

მაგრამ არა! ქართველ მსახიობს საქმე არ დაელევა, თუ მას ღრმად შეგნებული აქვს თვისი მოწოდება: ყოველმა მათგანმა ეს ზაფხული სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს როგორც თავისთვის, აგრეთვე პროვინციისთვის რიგიანი წარმოდგენების მართვით... მეტი თაოსნობა, გამჭრიახობა ჰმართებთ ჩვენს მსახიობთ და ერთხელ კიდევ მოვაგონებთ, ფეხი გასდგან ქართლ-კახეთისა და ქართველ-მაჰმადიანებისაკენ... უკიდურეს შემთხვევაში, ის მაინც შეუძლიანთ, რომ თვითგანვითარებას დაეწაფნენ, გაეცნონ სამშობლო თუ უცხო ლიტერატურას და ხელოვნების სხვადასხვა დარგთ...

დასრულდა სეზონი. ერთის შეხედვით თითქოს დრამ. საზ-თა გამგეობათ ახლა შეუძლიანთ მოსვენება, მაგრამ შემცდარი იქნებიან, თუ ასე იფიქრებენ: სწორედ ამ თავით უნდა შეუდგნენ გამგეობანი მუშაობას, თუ სურთ მომავალ სეზონს მომზადებული შეხვდნენ... კერძოდ თბ. დრ. საზ-ას გასულმა სეზონმა ნივთიერის მხრით თუმცა ზარალი არ მოუტანა, მაგრამ ხელოვნების მხრით ჯერ კიდევ ვერ მიახწია სისრულეს... მართალია, დასში კაი ძალნი იყვნენ, ბევრი პიესაც მშვენივრად დაიდგა, მაგრამ სრულ შეხმატკბილებას, თანხმოვანობას, ანსამბლს რომ უწოდებენ, ბევრი აკლდა... ჩვენ არა გვწამს პირველი და უკანასკნელი მსახიობი, კარგი და ცუდი როლი,—უხმო მოთამაშეც კი დიდი ხელოვანი უნდა იყოს, სცენაზე ესა თუ ის ნივთიც კი შეხამებათ უნდა იდგეს,—ისე წარმოდგენა ხელოვნების გაბიაბრუებაა... საზოგადოების გემოვნება გინვითარდა, მაყურებელი უფრო მეტს მოითხოვს სცენის მუშაკთაგან და აი ამ გარემოებას უნდა გაუწიონ ანგარიში ამ თავითვე ჩვენის თეატრის მესვეურთ...

ვიმეორებთ, ხელოვნება და არა ხელოსნობა, შემოქმედება და არა მოქმედება, ცხოვრების ანარეკლის სცენაზე სინამდვილით გადატანა და არა წარამარა თეატრალობა,—აი რას მოითხოვს გემო-განვითარებული მაყურებელი...

მტკიცედ შემუშავებული, გარკვეულ—იდეური რეპერტუარი,—აი რა ესაჭიროება ჩვენს საზოგადოებას...

არც ერთი უქმი სიტყვა, არც ერთი ყალბი პიესა, არც ერთი ცრუ მონოლოგი, არავითარი მეტი ბარგი სცენაზე არ უნდა ბოგინობდეს...

დაბა-ქალაქების სცენის მოღვაწეთაც მოუწოდებთ, ამ თვალსაზრისით იხელმძღვანელონ და ამ თავითვე შეუდგნენ მზადებას...

დასრულდა სეზონი, მაგრამ მომავალის საძირკველი დღესვე უნდა ჩაიყაროს...

ვინც ირჯება, გამარჯვება მისია...

## სათეატრო საზოგადოება თუ პროფესიონალური კავშირი?

მიხვდებით, რომ ამ ორ ცნებათა შორის განსხვავება არსებობს. მომავალმა ჩვენმა ყრილობამ უნდა გადასჭრას ეს საკითხი.

ჩვენი სცენის მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის დაარსება, ჩემის ფიქრით, არ არის მთლად ადვილი საქმე, მაგრამ ისე დიდ მნიშვ-

ნელოვანი მაინც არა, როგორც სათეატრო საზოგადოების დაარსება.

პროფესიონალურ კავშირში მხოლოდ ჩვენი წრის მოთხოვნილებანი და საჭირო საკითხები შეიძლება გასაშვალდეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კავშირი ცალმხრივი იქმნება. მარტო ჩვენი, მსახიობთა, მოწესრიგება მთელ სათეატრო საქმეს არას უშველის. ჩვენ შეერთებულნიც, როგორც ეხლა ცალ-ცალკე, მაინც დამოკიდებულნი ვიქნებით ანტრეპრენიორებზე, დრამატურგებზე, რეჟისორებზე და სხვ. ჩვენი კავშირი ვერ შესძლებს ჩვენ შორის ნორმალურ მდგომარეობათა შექმნას და განმტკიცებას. ეგ უფრო ჩვენი შინაურული საქმეა და გინდა ამ კავშირში ყველა ზემო-დასახელებული ელემენტებიც წევრებათ შემოვიდნენ, მაინც ჩვენი ინტერესების სხვადასხვაობა ვერ ჩამოაგდებს ჩვენ შორის სასურველ ზავსა და თანხმობას.

მაგალითები:

ანტრეპრენიორს თავისი მოთხოვნილება აქვს, მსახიობს თავისი. ეს ორი სხვადასხვა მხარეა, ორი სხვადასხვა ინტერესი. მართალია, ჩვენში ანტრეპრენიორობას ჯერ-ჯერობით მხოლოდ საქმის სიყვარულით და ქველმოქმედებით აღჭურვილი (იგულისხმება მაინც) საზოგადოებანი და წრეები ეწევიან, ამიტომაც მთლად ისეთი ხასიათი არა აქვს მათ ანტრეპრენიორობას, როგორათაც უცხოეთსა და რუსეთში ე. ი. სრულიად უწინარეს ყოვლისა კომერცია, მოგების სურვილი არ უძევს, მაგრამ ამათაც თვით მათი მდგომარეობა აყენებს საკომერციო ნიადაგზე და ამიტომაც ისინი მაინც და მაინც მომჭირნეობით თვალსაზრობენ, სხვა არ იყოს-რა დეფიციტს მაინც უფრთხიან და მაშასადამე ცდილობენ ნაკლები გაიღონ, მეტი შემოუვიდესთ. მსახიობიც, თქმა არ უნდა, კომერციულ ნიადაგზე დგას. ამასაც უნდა, რუსულად რომ გამოვსთქვათ, უკეთეს შემთხვევაში თავის თავი მეტად უზრუნველ ჰყოს. მაშასადამე აქ უკვე ორი მოპირდაპირე სდგას ერთი-მეორის წინაშე.

ეგრევეა რეჟისორისა და მსახიობის მდგომარეობაც. ეგ უკვე სხვა სფეროში. უფრო სასცენო ტეხნიკაში, რეჟისორს უნდა, დღევანდელ რეჟისორს მაინც, რომ მსახიობი წარმოადგენდეს მისთვის ერთგვარ საუცხოვო მარმარილოს, ან ბრინჯაოს, რომ შემდეგ ამ მასალიდან განზრახული სახეები ჩამოქნას და ჩამოაქანდაკოს. მსახიობი ამბობს, რომ მე მხოლოდ ამ სახეებად მინდა ვიქცე (ამპლუა) და სულ ხელ-მოსმით რეჟისორის გემოვნებაზე არ ვიყო დამოკიდებულიო. აქაც პირდაპირობაა ერთი მეორის.

დრამატურგსა სურს... მართალია, უნდა გამოვტყდეთ, ჯერჯერობით ჩვენს დრამატურგებს იმდენი აქტივობა არ გამოუჩენიათ, რომ თავიანთ პიესის დადგმაში თვალსაჩინო მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ,—ეს კია, რომ ნივთიერად მათაც სამართლიანად უნდათ გამოიწყონ თავის ნაშრომის ანაზღაურება. ეს მსახიობთ კავშირს იურიდიულად თავის დღეში არ დააინტერესებს, მაშასადამე დრამატურგთ ამ კავშირში მოქცევაც ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ასე, რომ ბოლოს და ბოლოს, ისევ იქ მოვდივართ—პროფესიონალურ კავშირში მხოლოდ ერთგვარ ელემენტები უნდა მოხვდნენ, ე. ი. ამ ხელად მსახიობნი. ესეც ფრიად სიმპატიურია, მაგრამ, როგორც ზემოდა ვთქვი, ამ კავშირს თავით თვისით არ ექმნება ისეთი ფართო მნიშვნელობა. მარტო ეს კავშირი ვერ მოაწესრიგებს ყველა ელემენტებისთვის ჩვენს სათეატრო საქმეს.

სათეატრო საზოგადოებას-კი, მე მგონი, უფრო შეეძლო. ამ საზოგადოებაში თავს მოიყრიდა ყველა ჩვენი დრ. საზოგადოებანი, დრამატურგები, მუსიკოსები*), მსახიობნი, მხატვარ-დეკორატორებიც, თუ ესეთი გაგვაჩნია. გვეყოლებოდა ერთი მთავარი საბჭო, იქვე მოსამართლენიც თუ შუამავალნი, გამსაშვალებელნი ჩვენის ერთი მეორის დამოკიდებულებისა. ამავე სათეატრო საზოგადოებას შეეძლო გაძლოლოდა ყველა იმ თანხების გაზრდა-განვითარებას, რომელთა დაარსებასაც ვაპირებთ, იმ მუზეუმის მოგვარებას, რომელიც ეგრე კარგა გაიხსენა ამას წინად ჩვენმა **მეთაურმა** („თ. და ც.“ № 4), მომავალ თავ-შესაფართა გაჩენა-

---

*) ამას წინად ბ. კარგარეთელის შენიშვნას წავაწყდი „Зак. Рѣчь“-ში: მუსიკოსები რათ გამოაკლეს მომავალ ყრილობასაო. ეს ასე არ არის. კომისიას ჰქონდა ამის შესახებ თათბირი მის პირველსავე სხდომაზე და მუსიკოსთა მოწვევა დადგენილ იქმნა კიდეც. **შ. დ.**

დაარსებას, თუ შემთხვევით ლექციების მოწყობას და სხვ. და სხვ.

თქმა არ უნდა, ყველა ამაების უფლება სათითაოდ ყველა ჩვენ დრ. საზოგადოებას აქვს და განსაკუთრებით თბილისში. როდესაც ამ საზოგადოებას აარსებდნენ, უთუოდ ეგევე ჰქონდათ მხედველობაში, მაგრამ დღეს-დღეობით ჩვენი დრამატიული საზოგადოებანი უფრო ანტრეპრიზობაში ჩაებნენ, ყველა ზემოხსენებული ცოტა მირჩათ. ამას გარდა მათი ფარგალი მოღვაწეობისა უფრო შემოსაზღვრულია და, ესეც არ იყოს, ვერც ერთი დღევანდელ დრ. საზოგადოება **მარტო** თავს ვერ იდებს ყოველივეს გაძღოლას და მოწესრიგებას. შეერთება კი სასურველო მომავალ სათეატრო საზოგადოებაში უნდა იყვეს, რადგან როგორც ზემოთ დავასახელე, ამავე საზოგადოებაში შემოვა სრულ-უფლებიან წევრად სხვა მოპირდაპირე ელემენტიც და ამითი საქმე კიდეც გასაშვალდება და კიდეც წინ წაიწევს.

მაშასადამე ჩვენს წინაშე დიდი საკითხია: რა უნდა აღმოაცენოს მომავალმა ყრილობამ? ერთი ფართო დაწესებულება, რომელიც შეიძლებს საერთო საქმის მოვლას თუ მხოლოდ და ერთი, ვიწრო პროფესიონალური კავშირი?

კარგი იქმნებოდა საქმეში ჩაკვირვებულთ ყრილობამდისაც გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საგნის შესახებ ჩვენს პრესაში.



# ლოცვა



**თამარ მეფე** (1178—1212)

პირველი მაისი! ეს დღე ბუნების განახლებისა, დღე თამარ დიდის მოხსენებისა! ოჰ, რამდენად უფრო კეკლუცი, წარმტაცი იქნებოდა, რამდენად უფრო გამხარებელი თავისუფალი გულისა, გალაღებული გრძნობა-გონებისა!

თამარო, თამარ, სახიერებავ ჩემის დიდების, თავისუფლების, მოქმედების! მოწიწებითა, ღმობიერებით აღვსილი ვსდგევარ შენი ხატების წინ და ვოცნებობ, მწარედ ვოცნებობ!.. ნეტავ იმ დედას; ვისაც წილად ხვდა შენი მზრუნველი, თავდადებული, ბრძნული ფიქრების გაზიარება! ნეტავ ვიცოდე, რად მიყვარხარ მე ასე ამ ჟამად? იქნება გრძნობდეს ჩემი არსება შენს სიახლოვეს? იქნებ, მართლა, გრძნობს სული შენი, რა განსაცდელში ჩავარდა დღეს შენი ქვეყანა! გვიახლოვდები, თავს დაგვტრიალებ სწორეთ იმ დროს, როდესაც გესმის მოთქმა-გოდება შენის ქართველისა?

ჩვენო მშვენებავ, დაუშრეტელო წყაროვ წარსულის მოგონებისა! თვალ-ცრემლიანი, მუხლ-მოდრეკილი გევედრები — მოევლინე მას შენის სიმხნევით, მაღალ-გონებით, სულ-ძლიერებით, თავ-დადებით აღჭურვილი და მოეც მას ძალა თავის შერჩენის!..

**ნ. ყ—სა**

# ქართველი დედა

—

ვინც ჩვენს წარსულს ოდნავ მაინც თვალს გადაავლებს, არ შეიძლება, არ გაკვირდეს იმ სულიერი და ზნეობრივი სიდიადით, რომლითაც აღჭურვილი იყვნენ ჩვენი წინაპრები...

სწორედ დაუშრეტელია მათში თავდადებული სიყვარული და პატივისცემა მამულისადმი!

სწორედ საგმირონია საქმენი ჩვენის წინაპრებისა!

იმ მრავალ გარემეობათა შორის, რომელთა წყობილებით შეიქმნა ასეთი სანატრელი ტიპი ძველი ქართველისა, უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს ქართველ დედას!

დიაღ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იშვიათად თუ მოიძებნება მთელ დედამიწის ზურგზე ისეთი ხალხი, რომელსაც ჰყოლოდეს ჩვენი დედის ბადალი!..

კეთილშობილი და მაღალბუნებოვანი იყო იგი!..

ისეთივე, დედის მსგავსივე იყო მისგან აღზდილი შვილიც...

დრონი იცვალნენ! ასეთი დედები წარსულმა დაისაკუთრა. უიმედობისა და უსიცოცხლობის დრო დაგვიდგა!..

დიაღ! ქართველი დედის დაავადმყოფება დღეს უეჭველი ფაქტია. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ავადმყოფობა უკურნებელ სენად გადაგვექცევა და ბოლოს მოგვიღებს. თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრე-

ბის განმავლობაში ბევრჯერ ყოფილა საქართველო ასეთ მდგომარეობაში, ბევრჯერ შეწყვეტილა მისი მაჯის ცემა, მაგრამ ისევ ძალა მოუკრებია და ისევ აღდგენილა და განახლებულა, განადგურებული, მტრის ფეხით გათელილი, სისხლით მორწყული ჩვენი ქვეყანა.

ერი, რომელმაც შექმნა ოქროს ხანა, ერი, რომელმაც დაბადა და აღზარდა შოთა, თამარი, ირაკლი, გორგასლანი, სააკაძე, ილია, აკაკი, ერი, რომელიც მუდამ დარაჯად ედგა ქრისტიანობას და დაბადა გმირნი—გოლიათები—ეს ერი, იმედია, გადიტანს ამ ავადმყოფობასაც და მომავალში გამოიჩენს მეტს ენერგიას, ფხას და უნარს...

დიახ, ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი დედები ფერს იცვლიან, განახლების გზას დაადგებიან, ცხოვრების მიზნად დაისახავენ გონიერულ იდეალს, უკუაგდებენ ყოველგვარ უშინაარსობას, „ტანცი-მანცი“-ს, ქორიკანობის მაგიერ ჩაუკვირდებიან წარსულს, იფიქრებენ მომავალზე და იზრუნავენ მრავალ-ტანჯულ, მაგრამ მაინც მშვენიერ საქართველოზე!..

**ვიაჩ. ჯიქია**



ლექტორი ქალი
**ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე**
(მისი დღევანდელ ლექციის გამო სახალხო სახლში)

## წერილი

ე-ს

არ დაიჯერებ,
თუ ვით ვაჟღერებ
ჰქვიან თვალთათვის გრძნობიერ გულსა;
მათ სიზმრად ვხედავ
და ვერ კი ვბედავ,
ცხადად ვუშლიდე ჩემს სიყვარულსა!
თვალი რბის შორსა...
ვის ეძებს სწორსა?
მითხარ, თუ უცხოს ეალერსები!
დანაკლისია,
ეგ თუ სხვისია...
მე ამის მგონე სევდით ვივსები!

ხან დაღონებულს,
ღრმად ჩაფიქრებულს
თუ ვხედავ შავად მიბნედილ თვალებს,
მგონია მარად,
მე მიმზერ მწყრალად
და სული მაშინ მწარედ ვალალებს.

ეხ, შავი თვალი...
ცივი, ხან მთვრალი,
ნეტამც-კი, ქალო, ერთს მეკუთვნოდეს!
თვისის ბედითა,
თვისის სევდითა
მხოლოდ, მხოლოდ მე შემომეტრფოდეს!



## კიბესთან

—

დავიწყებ პოეტურად:
ბადრი მთვარე... ბულბულთ სტვენა და მყუდრო ღამე...
კმარა!
ამას იქით მწარე პროზა იწყება.
მე და ბაბო ცაცხვის ძირში ვისხედით.
არა მგონია, ისე მჭიდროდ სურო შემოეჭდოს ხეს, როგორც მე და ის ჩავკროდით ერთმანეთს.
— მითხარ, ბაბო, მართლა ისე ძლიერ გიყვარვარ, როგორც მეფიცები? დავეკითხე და თვალებში ჩავხედე.
მისმა თვალებმა გაიელვეს.
— მიყვარხარ!.. ვფიცავ შენს სიცოცხლეს, ჩემს ღმერთს, ისე მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე ვერც-კი წარმომიდგენია. ოჰ, როდის იქნება ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნოდეთ?! როდის და დავიწეროთ ჯვარს?
— მალე, ჩემო სულის დგმავ!.. სულ მალე!.. და მაშინ ვერაფერი ძალა ველარ დაგ-

ვაშორებს ერთმანეთს, გარდა სიკვდილისა.

— ოჰ, ნუ ახსენებ სიკვდილს!.. გულნაკლულმა წამოიძახა და უფრო მჭიდროდ მომეკრა... გეფიცები ჩემს შენდამი წმინდა სიყვარულს უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. და თუ შენ ჩემზე ადრე მოკვდები, მე ძალად მოვიკლავ თავს.

მისმა სიტყვებმა გული ამიჩქროლეს... ბედნიერი ვიყავ... ვდნებოდი...

— მჯერა, მჯერა, ჩემო სიცოცხლევ!

დაბნედილმა წამოვიძახე და გავიწიე საკოცნელად, მაგრამ... ამ დროს აივანზე ბაბოს დედა გამოჩნდა...

ოო, ეს დედები! ყველგან უდროოდ ჩაეჩხირებიან ხოლმე.

— ბაბო, შვილო, სახლში შემოდი, ფარნაოზი მოვიდა. დაიძახა დედამ.

ფარნაოზი სტუდენტი იყო.

საკოცნელად გაშვერილი ტუჩები ზედ შემაცივდა.

ბაბო ზეზე წამოიჭრა.

— ერთი საათის შემდეგ კიბის ქვეშ მელოდე, მოვალ...

წამჩურჩულა და ქურციკივით გაშპა.

ბევრი ტკბილი ამბორი მახსოვს მისი, მაგრამ ამ დაუკმაყოფილებელმა სურვილმა უფრო ამაღიზიანა.

მოუთმენლობისაგან ვგიჟდებოდი; ყოველი წუთი საუკუნედ მეჩვენებოდა.

გავიდა ნახევარი საათი. დროს აღარ მოვუცადე და წავედი დანიშნულ ადგილს, რომ დანარჩენი დრო იქ ბაბოზე ტკბილს ოცნებაში გამეტარებინა.

ამოვარჩიე ბნელი კუთხე და დავდექ.

ყურებს შხუილი გაჰქონდა, გულს ბაგაბუგი, თვალებიდან ცეცხლის ისრები მცვიოდა.

უცბად კაბის შრიალი და ფეხის ხმა მომესმა.

სმენად გადავიქეც.

— აქეთ მოდი... აქ ვერავინ დაგვინახავს...

ბაბოს ხმა იყო,

ფარნაოზს ეჩურჩულებოდა...

გავინაბე.

— ბაბო, გული მეთანაღრება... ასე მგონია, სხვა გიყვარს და მე-კი მატყუებ მეთქი...

ხმის კანკალით ეუბნებოდა ფარნაოზი.

— მიყვარხარ! ვფიცავ შენს სიცოცხლეს, ჩემს ღმერთს, ისე მიყვარხარ,—უშენოდ სიცოცხლე ვერც-კი წარმომიდგენია... ოჰ, როდის იქნება ჩვენ ერთმანეთს კანონიერად ვეკუთვნოდეთ?!

ვიცან ბაბოს ფიცი, მისი სიტყვები, მაგრამ...

როგორც რომანებში სწერენ ხოლმე— თვალთ-კი არ დამიბნელდა, არც თავს ბრუ დამესხა, არც გული ამისივდა, არც ავცახცახ—ავკანკალ—ავფართხალ—ავთრთოლ— ავენთე!..

არა!

ნათლათ დავინახე, რომ ფარნამ ისე ძლიერად და ვნებით მოხვია მძლავრი მკლავები ბაბოს წელში და თავისკენ მიიზიდა, რომ...

ჩემი თავი საფრთხეში ვიგრძენ.

გასასვლელს ძებნა დავუწყე.

კიდევ კარგი, იქვე კარები შემხვდა და თავს ვუშველე, თორემ...

**ვალ. შალიკაშვილი**

## სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი



**ანტონ ფურცელაძე (1838—1913)**

დღეს შესრულდა ექვსი თვე, რაც გარდაიცვალა ანტონ ფურცელაძე, სამოციანთა ერთი სათვალჩინო წარმომადგენელთაგანი, შთამომავლობით უბრალო აზნაურიშვილი, სულით ძლიერი, მესამოცე წლების რუსეთის საუკეთესო იდეალებით გამსჭვალული, დამოუკიდებელი გზით მოსიარულე, სამარის კა-

რამდე მხნედ მატარებელი საუკეთესო იდეალთა...

მუდამ მეამბოხე სულით მოაზროვნე იგი ჩვენის დაავადებულ საზოგადოებრივ ცხოვრების ერთი მიუკერძოებელი დოსტაქართაგან იყო. რაკი „ბედმან არკუნა, ჩვენს წყლულებში ხელი ერია", სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისათანვე (1863 წ.) სიკვდილამდე (1913 წ.) პირდაპირ ამხელდა მშობელ ერის ნაკლთა და მანკიერებათ, როგორც შორეულ წარსულისას, ისევე დღეისას, და საჭიროებათაკენ ფხიზლად უთითებდა...

ანტონიც, როგორც მისი თანამედროვენი, ერთის მხრით თუ ყოველს ჩვენს განმანათლებელ დაწესებულებათა წრეებში მუშაობდა, მეორეს მხრით სწერდა მოთხრობებს, პოემებს ლექსებს, პიესებს, პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებს, ისტორიულ გამოკვლევებს და სხ.

მართალია, სტილისა და ფორმის მხრით თვის ნაწარმოებთ ისე ვერ აქანდაკებდა, როგორც სხვა მისი თანამედროვენი, მაგრამ მისი ყოველი ნაწარმოები იდეური იყო, ჩვენის ცხოვრების ამა თუ იმ უკუღმართ მოვლენის დაუნდობელი მამხილებელი, უკეთესი მიზნისკენ მიმთითებელი... იგი ერთგვარის მოურიდებლობით აღგვიწერდა როგორც საქართველოს პირადის ჟინიანობით დაბრმავებულ მეფე-ფეოდალთა და ქვეყნის სავნებლად მათს მუდმივს შუღლს, აგრეთვე თანამედროვე ბრწყინვალე წოდების დიდი უმეტესობის დაბედოვლათებას და მუდამ განახლებულ, ერთი მთლიან, თანამედროვე კულტურით აღჭურვილ, ვაჭრობა-მრეწველობით და მეურნეობით დაწინაურებულ, წოდებრივ განხეთქილებათგან განთავისუფლებულ საქართველოს შექმნის მონატრე იყო...

მისი აზრით, „ვიდრე არიან უბედურნი, ბედნიერება სხვათა ან შეუძლებელელია, ან არ არის სრული", ამიტომაც კაცთა შორის საყოველთაო ბედნიერების დამყარებას მიელტვოდა... ანტონი გვიმოძღვრებს, რომ „როდესაც ქვეყანა იჩაგრება, ამ ხალხის შვილებმა უნდა თავი გამოიდონ, იმხნეონ და განსაცდელი თავიდან აიცდინონ,—გამორკვეული, მართალ გზაზე დამდგარი პატრიოტობა—მამულიშვილობა არის წმინდა საქმე, მართალი, სავალდებულო ყოველი პატიოსანის კაცისა, რომელიც ეკუთვნის დაჩაგრულს, მართალ გზაზე დამდგარ ერს"...

ჰეინემ სთქვაო, —ამბობს ერთ ადგილას ანტონი: დაფნის გვირგვინით ამკობენო ღირის თავებსა,—იქნება ესეცაა მიზეზი, რომ თავის ნამოღვაწევის დაფასებას ერიდებოდა და მთელი ნახევარი საუკუნე ისე იღვაწა, აზრად არ მოსვლია ვისმე მადლობა მიეძღვანა: არა თუ დაფნი, უფრო მეტი მომდურავი ჰყავდა თვის პირდაპირობისა და მოურიდებელი მსჯელობა-კამათის გამო... არც ახლა დამდგარა დრო ანტონის ღვაწლის დაფასებისა, ხოლო მოვა დრო და ჩვენი შემდეგი თაობა, დემოკრატიული საქართველო, უფრო ღირსეულად დააფასებს თვის ღირს-ნაამაგდარ შვილს, რომელიც მარად ქართველი ხალხის სინიდისს აფხიზლებდა და უკეთეს მომავალისკენ უთითებდა...

ი—ი

P. S. 8 მაისს სრულდება ოცი წელიწადი, რაც გურიის ერთ სოფელში მიწას მიაბარეს უდროოდ გარდაცვლილი (1894 წ. 29 აპრ.) მწერალი ეგ. ნინოშვილი. ამის შესახებ წერილი შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

ი—ი

## სათეატრო შენიშვნები

ჩვენში სათეატრო საქმეები ვერ არის შესაფერისად მოწყობილი და ამას, სხვათა შორის, ქუთაისის უსეზონობაც ღაღადებს. ქართული თეატრის საქმე არც თბილისშია კარგად მოწყობილი. თუ არა ,,სინათლე'', თბილისის დრამატიული საზოგადოება სეზონს წელსაც დეფიციტით დაასრულებდა. ნიანგის ცრემლებს ბევრს ვაფრქვევთ, მაგრამ საქმეს ეს ვერ შველის. ხან დრამატიულ საზოგადოებას ვდებთ ბრალს, ხან თვით საზოგადოებას და ჩვენ მხოლოდ ამით ვკმაყოფილდებით.

უკანასკნელ ხანებში ქართულ წარმოდგენების ერთერთ მხნელად სასცენო მოღვაწეთა ყრილობა ვაღიარეთ. ისეთი საქმის [ ხალხი ვართ, რომ ხუთი წლის ფახი-ფუხის შემდეგ, როგორც იყო, ვახერხებთ ამ ყრილობის მოწვევას. მსურს ამ ყრილობის საგულისხმოდ ქართულ წარმოდგენების საქმეზე მცირე რამე ვსთქვა.

ფაქტია, რომ დღეს თუ ესწრება ქართულ

წარმოდგენებს ვინმე, ეს საზოგადოების დემოკრატიული ნაწილია-- მუშები, მოწაფეები, ნოქრები და წვრილი ინტელიგენცია. დრამატიული საზოგადოებანი საზოგადოების ამ ნაწილს შესაფერ ანგარიშს არ უწევდენ და არც ახლა უწევენ. წარმოდგენებზე დასწრების ფასი, რეპერტუარი თუ სხვა რამე, ყოველივე ეს გადაგვარებულ ჩინიან-ინტელიგენტების შესაფერია. პიესები მოწაფეთა და მუშათა ცხოვრებიდან თითზე ჩამოითვლება, მიუხედავად იმისა, რომ თეატრში უმთავრესად ესენი დადიან. ფასებიც ისეთია, რომ საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილს უჭირს თეატრში შესვლა და რომ ეს ასეა, ამას სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენების ისტორიაც მოწმობს: იაფ-ფასიან წარმოდგენების დროს თეატრი თითქმის ყოველთვის სავსეა.

იმის თქმა, რომ სულ მუშათა და ნოქართა ცხოვრებიდან დაწერილი პიესები იდგმებოდეს, არ მინდა. არც იმას ვიტყვი, თეატრმა მხოლოდ საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილს გაუწიოს ანგარიშიო. სასურველად მხოლოდ ის მიმაჩნია, რომ დემოკრატიას მეტი და შესაფერისი ანგარიში გაეწიოს.

წარმოდგენებზე დასასწრები ფასების დაკლება ბევრი მხრით სასარგებლოა. ფასების დაკლებით არც დრ. საზ. კასა წააგებს რასმეს და თეატრიც თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებს. დღეს წარმოდგენები სანახევროდ ცალიერ დარბაზში ხდება და გაიაფების შემდეგ სავსე დარბაზი იმდენ შემოსავალს მაინც მისცემს, რამდენიც დღეს არის. ამის შესახებ აუცილებლად საჭიროა, რომ ყრილობამ იმსჯელოს. ამასთანავე ყრილობამ უნდა იმსჯელოს შესაფერ რეპერტუარის შედგენის შესახებაც.

**აქილესი**

---



## უილიამ შექსპირი
**(1564—1914)**

წელს შესრულდა 350 წ., რაც კაცობრიობას დაებადა უშესანიშნავესი ადამიანი— ადამიანთა უსაიდუმლოეს ვნებათა, სულიერ ვითარებათა მესაიდუმლე-მრკვეველი, უთვალავ ხატებათა შემქმნელი, მრავალ საფილოსოფიო თუ სამეცნიერო კითხვათა აღმძვრელი, უდიდესი ჰენიოს-დრამატურგი ყველა დროისა და ხალხთა..

იგი რომ დაიბადა, მისი სამშობლოს—ინგლისის—თეატრი ჯერ კიდევ პირველყოფილ მდგომარეობაში იყო. თანამედროვეთაგან შეუნიშნავი შექსპირი პირველხანად თეატრის ბიჭი-მოსამსახურე იყო, შემდეგ მეორე ხარისხოვან აქტიორის სახელი მოიპოვა და ერთ მეოჯახე კაცად ითვლებოდა. მის პიესებს თანამედროვენი იმდენად არ აფასებდენ, მაგრამ გავიდა საუკუნენი და შექსპირმა მთელი მოწინავე ერთა უდიდესი ყურადღება დაიმსახურა...

რამდენათაც ინგლისი ამაყობს ამ თვისის შვილით, იმდენად მთელი კაცობრიობა... ეს იმიტომ, რომ შექსპირი რამდენათაც ნამდვილი ინგლისელი იყო, თვისი ერის ღვიძლი შვილი—ნამდვილი მამულიშვილი და თვისი პიესები ეროვნულ ქარგაზე აქვს ამოქსოვილი, იმდენად მსოფლიო, საერთაშორისო სულით გაჟღენთილი...

დღეს შექსპირის შემონაქმედნი ყველა კრლტურულ ერთა ლიტერატურასა და თეატრებს ამკობენ...

ჩვენ, ქართველებსაც მოგვეპოება მისი პიესები („ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, ,,კორიოლანოს‘‘, ,,ანტონიოს და კლეოპატრა‘‘, ,,რიჩარდ Ш“ და სხ.), ივ. მაჩაბლისაგან საუცხოვოდ ნათარგმნი.

იმდენად მდიდარი და მრავალ-ფეროვანი-შექსპირის ჰენიოსობის ნაყოფი, რომ როა

გორც მის სამშობლოში, აგრეთვე უცხო ქვეყნებში მთელი საზოგადოებანი, მუზეუმ-ბიბლიოთეკანი და განსაკუთრებული დროული გამოცემანია მისთა ნაწერთა და ცხოვრება-მოღვაწეობის შესასწავლად...

დღესაც, სამნახევარი საუკუნის შემდეგ, სადაოთაა გამხდარი, შექსპირის სახელით ცნობილ მაღალ ქმნილებათა ავტორი თვით შექსპირია თუ სხვაო (ზოგნი სხვას ასახელებენ), მაგრამ ვინც უნდა იყოს ნამდვილი ავტორი, სულ ერთია, ვინაიდან დღეს კაცობრიობა შექსპირის სახით თაყვანსა სცემს იმ პიროვნებას, რომელმაც კულტურულ კაცობრიობას მიანიჭა მშვენიერების, მაღალმისწრაფებათა, უკეთურების დათურგვნისა და მარად სიკეთის ძიების უშრეტი წყარო!..

ი. არიმათიელი

# მოჩვენება

ჟამთა დენას აღარ ვთვლიდი, არ ვისმენდი ტყის ჩურჩულსა,
რწმენის ალში ვსწვავდი ნაღველს, ვამაღლებდი ლოცვით სულსა
და ოცნებას დივეძებდი, ნაზ ოცნებას ხორც-შესხმულსა.

* * *

ერთხელ, დილით, როს მზის სხივი შადრევანად იმსხვრეოდა,
როს ნაძვნარი, მშვენიერი, ტალღასავით ირხეოდა,
ის ვიხილე, ის, რომელიც სიზმრად შვებას იძლეოდა...

* * *

ჩემს წინ იდგა მოჩვენება, ღმერთო! ღმერთო! რა დიადი!
მზე ნათელი ფერს ჰკარგავდა, ბნელდებოდა განთიადი,
არსად სჩანდა აფროდიტე, ზღვის ქაფებში დანაბადი.

* * *

ვდუმდი, სულის მღელვარებას ამჟღავნებდა სუნთქვა ცხელი.
ბოლოს მუხლთა მოუყარე, ვუთხარ. „გპოვე სანუკველი,
მინდა მარად შენთან ვიყო, ცად ავფრინდეთ, მომეც ხელი!“

* * *

მან გააპო ვარდის ბაგე, სთქვა: „ოცნების ღმერთი მქვიან,
მსოფლიოში მხოლოდ მე ერთს შემომტრფიან, შემხარიან,
ჩემით არის, თუ ქვეყნადა სიხარულის ცრემლსა ღვრიან.

* * *

მე გაღვიძებ ციურ აზრებს, ვასპეტაკებ გრძნობა-სულსა,
მე მომაკვდავს უკვდავად ვხდი, ძალას ვაძლევ დაცემულსა,
მე ვაქარვებ მწვავე დარდებს, მე ვაყუჩებ სევდა-წყლულსა.

* * *

გამიგონე, მე ვარ მხოლოდ ქვეყნის სიბრძნე, გამოცანა;
მჯერა-მჯერა, რომ უჩემოდ გაიხრწნება ეგ ქვეყანა...
თუნდა მართლა თან წამოგყვე, გეყვარები მარად განა?

* * *

არა, არა! ჩემთან ყოფნა, ჩემი ტრფობა მოგწყინდება,
შენი გული, აღგზნებული, გაცივდება, გაყინდება;
ძვირფასია მხოლოდ იგი, რასაც კაცი ვერ მისწვდება!..“

* * *

მიეფარა მოჩვენება, გამოსხმოდეს თითქოს ფრთები.
მე კვლავ ვიდექ და ზეციდან მომესმოდა ეს სიტყვები:
„მას ეძებდე განუწყვეტლივ მხოლოდ, რასაც ვერ მისწვდები“.

მთის ნიავი

# ქართველ მსახიობთა ამხანაგობის დასი პროვინციაში



მარო მდივანი



ვალ. გუნია



ნ. ჯავახიშვილი



ალ. ყალაბეგიშვილი



იუზა ზარდალიშვილი



ვასო ურუშაძე



ვალ. შალიკაშვილი

**წარმოდგენები გაიმართება:** გორში, ყვირილაში, ჭიათურაში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ფოთში, ბათომში, ოზურგეთში და ლანჩხუთში

# მეუფე ურიათა

დრამა 4 მოქ. და 5 სურათად, **მისა იმპ. უმ. დ. მ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძის (კ. რ.)**

(დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება № 8)

## მოქმედება პირველი

### გამოსვლა მეხუთე

**ნიკოდ.** ოთხი წელია იერუსალიმს
რაც ის ეწვია. მისი მოძღვრება
და სასწაულნი მე მარწმუნებენ,
რომ იგი ზეცით მოვლენილია!
მაგრამ ჭკუა ფხიზელი და ცოდნა
ვერ ურიგდება ყოველსა ამას
და ოცნებასა სასურველს ჩემსა
ფრთებსა მიკვეცავს! ჩვენ მხოლოდ ვიცით,
იესო არის ნაზარეველი
დურგლისა შვილი და ჩვენი მხსნელი,
ისრაილისა სრული იმედი,
მოსესაგან აღთქმული მესია,
დავითის ნაშთი, დაბადებული
ბეთლემში, ჩვენდა სასიხარულოდ.

**იოსებ.** არა ვარ მცოდნე კანონებისა,
მოციქულთ წესთა! სამღვთო წერილის
აღთქმანი ვარსკვლავთ მომაგონებენ:
უცნაურ იდუმალობით ჰფენენ
თავის სხივებსა დედამიწის ზურგს,
აღტაცებულნი ზეციურისა
სილამაზით, ირთოლვით შევცქერი
ცისა კაბადონს! ხოლო მსვლელობა
მათ მიუწდომელ სივრცეში,
და ურიცხველობა მე არ მესმის,
შენ-კი, ვითა ვარსკვლავთმრიცხველი
ცათა შუაღამის ცეცხლისა წიგნში
აღმოიკითხავ ყოველისფერსა..
და მე ბრმა გრძნობას, გულთა ოცნებას
მთლად მივეცემი, დავემონები!

### გამოსვლა მეექვსე

(შემოდიან სიმონ კვრინელი და როფე

**სიმონ.** სალამი ბატონს ჩემს დიდ მწყალობელს!

**იოსებ.** საიდან სიმონ? რას გვეტყვი ახალს.

**სიმონ.** შენსა ყანებში... ბაღებში ვიყავ,
იქ ვმუშაობდი... უცბად მომესმა
ხალხის ყვირილი... შენი მამული
ხომ ახლო უძევს ქალაქის კედელს!
იმ წამს გავსწიე ქალაქისაკენ...
ურიცხვი ხალხი შეკრებილიყო
ტაძრისა ახლოს დიდ მოედანზე!..
აღტაცებულის კიჟინ-ღაღადით
ეგებებოდა იგი ჩვენს მოძღვარს,
რომელიც ჯდა ჩემს საკუთარ კიცვზე.

**ნიკოდ.** მერე მოძღვარმა სად გამონახა
შენი კიცვი?

**როფე.** მე ვიყავ მარტოკა...
სახლს შემოვიდა ორი ჭაბუკი
და მთხოვეს კიცვი, მოძღვარს უნდაო!
გავიხედე და ვნახე: მოძღვარი
თვის მოწაფენით... ფეხით მიდიან!
იმ წამსვე კიცვი მე მათ დავუთმე!
შეჯდა მოძღვარი და განაგრძო გზა
ელეონითა ჩვენს ქალაქამდე.—
მეც თან გამოვყე. მთას მოვადექით...
გადმოვიხედეთ... ჩვენ წინ შლილი იყო
იერუსალიმე. ოქროს ფერად
ბრწყინავდა იგი ცხოველ მზისაგან!
ვიწყეთ გალობა, ღმერთს ვადიდებდით
ოსანა, ოსანა! ისრაილის
მეუფევ დიდო! და სიხარულის
ხალხის გუგუნსა და ღაღადებას
ბოლო არ უჩნდა! ქალაქი გარედ
გამოეფინა... ერივნენ ხალხში
დიდნი კაცნიცა. ბოროტის ცქერით
ჩვენს წმიდა მოძღვარს უთვალთვალებდენ
და ყურში ჩუმად უჩურჩულებდენ:
მოძღვარ! შერისხენ მოწაფეთ შენთა,
ხოლო იესო მიუგო და თქვა:
გეტყვი თქვენ: „დაღათუ ესენი ჰსდუმდეს
ქვანი ღაღადებდენვე!!“

**სიმონ.** ტაძრის კარებთან შეჩერდა იგი.
მაშინვე მიველ კიცვის ლაგამი
ხელთ დავიჭირე. ოდეს ჩამოხტა,
შემომხედა და მშვიდის ღიმილით
ჩუმად მიბრძანა: „შენ მე პირველი
დღეს სამსახური გამიწიეო,
მეორესა შენგან მოველი მალე!!“
ნელის ნაბიჯით ამ სიტყვის შემდეგ
ტაძრათ მიიქცა, თვალთ მიგვეფარა.
სულ ამას ვფიქრობ, რა სამსახური
გავუწიო მას, ღვთისა მოსავსა!!

**როფე.** მისი თქმულება სრულდება ყოვლჟამს.

**სიმ.** შინ წასვლის დროა— თქვენთან არს ღმერთი

**იოსებ.** მშვიდობა შენდა!
(სიმონი და როფე გადიან. იოსებ და ნიკოდიმოსი
დასხდებიან ზეთის-ხილის ხის ქვეშ)

**გამოსვლა მეშვიდე**

შემოდიან სადუკეველი და ორი ფარისეველი, ვერა-
ვის ამჩნევენ სცენაზე

**სადუკევ.** აქ იესოზე ჩვენ შეგვეძლება
თავისუფლადა სჯა და ბაასი!..
**ნიკოდ.** იესოზეო, გესმის იოსებ?!
**იოსებ.** როგორ არ მესმა... ჩვენ ვიცნობთ ამათ.
არ მინდა შევხვდე, კეთილს არ ველი
მე ამათაგან!.. (უნდა წავიდეს)
**ნიკოდ.** (შეაჩერებს) ყური დავუგდოთ!..
**პირ. ფარის.** მე ხომ ტაძარში
არა ვყოფილვარ! მითხარ რა მოხდა?
**სადუკევ.** გალილეველი, გიჟი გლახაკი
და მაწანწალა ტაძარს შევიდა...
სადღაც ეშოვნა თოკი მაგარი,
დაეწნა იგი ვითა მათრახი
დი „გამოასხა ყოველი იგი
განმსყიდველი და ყოველი, რომელ
იყიდდა ტაძარსა მას შინა და
ტაბლები იგი მეკერმეთა მათ
დაამხო და დასასხდომელები იგი
ტრედის-მოფარდულთა მათ დაუქცია“:
**პირ. ფარ.** დროა, გეტყვით თქვენ! ავლაგმოთ იგი
**სადუკევ.** და ისაია მოციქულისა
წარმართ სიტყვათ იხსენიებდა:
,,სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს,
ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი
ქუაბ ავაზაკთა‘‘!
**მეორ.ფარის.** როგორა ბედავს!
**პირ. ფარის.** ბოლო მოვუღოთ!
**სადუკევ.** აი, ამისთვის გთხოვე აქ მოსვლა.
აი, აქ, შორს იმ დაწყევლილ ბრბოსაგან,
რომელიც თან სდევს ყალბსა მესიას,
ვიაზროთ ფრიად, თუ ვითარ საქმე
ეს მოვაგვაროთ? სადუკეველნი
ფარისევლებთან ვერ შევწყობილვართ,
მაგრამ იესო ორივესათვის
არის საშიში! უნდა შევერთდეთ...
მიმოიხედეთ, სასწაულთ მომქმედს
მთელი ქვეყანა მალე ირწმუნებს
და ურიასტნის მეუფედ გახდის!!
მაშინ აგვაღებს ჩვენ რომიცა
თვის მფარველობას და სულ დაგვიპყრობს!
დაანგრევს იგი წმიდა სიონსა
და დიდებული სოლომონისა
ტაძარისაგან ქვა ქვაზედაცა
აღარ დარჩება!!
**პირ. ფარის.** განა არა ჰხამს
გალილეველი, რჩეული ხალხის,
ისრაილისა ნაცვლად გავსწიროთ?
**მეორ. ფარის.** რაღა თქმა უნდა ვიხსნათ ჩვენ მაინც
აჩრდილი იმა თავისუფლების,
რომელსაც რომის მფარველობის ქვეშ
განვიცდით!!
**პირ. ფარის.** სიკვდილი ნაზარეველს!!

**კ. მესხი**

(შემდეგი იქნება)

## სქესობრივი ცხოვრება და ხელოვნება

(პროფ. ავგ. ფორელით)

—

ხელოვნება*) გრძნობათა ცხოვრების მოძრა-
ობათ ჰარმონიულ ფორმაში ჩამოასხავს. ხელოვნება
რამდენადაც უფრო მეტად უკავშირდება ცოდნის ელე-
მენტებს, იმდენად იგი უფრო უმაღლესია და მით
უფრო მძლავრია მისი ზეგავლენა. მაგრამ ხელოვ-

---

*) ხელოვნების ფილოგენია ჯერედ კიდევ ძაან ბნელით არის მოცული. დარვინის შეხედულება, რომლის თანახმადაც, იგი ვითომ სქესობრივ რაყიფობიდან შეიძლება წარმომდინარეობდეს, წინაალმდეგ უდიდეს მკვლევარის ჩვეულებრივ მახვილგონიერებისა, იმდენად ნაძალადევია, რომ ჩემს დღეში არ შემეძლო მას დავთანხმებიყავი (იხ. აგრეთვე Lameere: L'evolution des ornements Sefuels“, ბრიუსელი, გოიე 1904). ხელოვნებაშა უკვე არისტოტელი ჰხედავდა მშვენიერების გამოხატვის დასაწყისს და წაბაძვას. მეტად კარგ სტატიაში, რომელშიაც დარვინის შეხედულობის უარყოფაც არის (Die Anfange der Aunst una die Theorie Darwins, Hessische Blätter für Yolkskunde, Band 111 Heft. 2 და 3). პროფ. გროოსი თვითგამოხატვის, საკუთარ შინაგან აღძრვის ობიექტად გადაქცევის პრინციპს უსვამს განსაკუთრებით ხაზს (ცხოველებში, მაგ., სიამოვნებანი, რომელსაც საკუთარი ხმა აგრძნობინებს). მოძრაობის სურვილი და თამაში, მოძრაობებით გამოხატული (ასეთ თამაშობას ჰიანჭველებშიც ვხვდებით), ხელოვნების პირველ ავტონომიურ შემომქმედთ ეკუთვნიან. საკუთრად ადამიანში ხელოვნების აღმოცენებისთვის გროოსი დიდ როლს აწერს სარწმუნოებრივ ექსტაზს, საერთოდ ექსტაზს „თა

ნების ზეგავლენის ინტესივობა განსაკუთრებით იმ სიძლიერეზეა კიდევ დამოკიდებული, რა სიხლიერითაც ჩვენი გრძნობები მოიყვანება მოძრაობაში. ხელოვნება აგრეთვე დისონანსებითაც სარგებლობს, მუსიკის გარეშეც, რომ კონტრასტების გავლენის წყალობით გრძნობათა ბგერების ჰარმონია უკეთესად გამოაკიათოს და იმავე დროს მძლავრად, მრავალფრად იმოქმედოს შთაბეჭდილიანობაზე. საზიზღარის დახატვით მშვენიერებისადმი მისწრაფებას აღძრავს. მაგრამ ხელოვნება თავისნებითი, შინაგნად ჭეშმარიტი უნდა იყოს. არ უნდა ეტყობოდეს მას ნაცოდვილარობა, არაბუნებრივობა, აგრეთვე არავითარი გონივრულად ან ზნეობრივად განსწავლის აზრი არ უნდა ჰქონდეს აკვიატებული. თუმცა დადებითი ესტეთიური გრძნობა ანუ მშვენიერების გრძნობა ძაან შეტოლებითია (ОТНОСИТЕЛЬНОЕ) და არსებით ნაწილში ადამიანურ ფილოგენეტიურ შეგუებაზე, ჩვეულებებზე და ზნეებზეა დამოკიდებული. ნაგვის ჭიისთვის ნაგავი და ნაგვის სუნი უსათუოდ მშვენიერებაა, ჩვენთვის კი საზიზღარი. ურნინგის (მამათმავალის) თვალში კაცი ქალზე ლამაზია. ველური და გლეხი მშვენებად სთვლიან იმას, რაც კულტურულ ადამიანს და ფაქიზ მოქალაქეს სისაძაგლედ ეჩვენება და სხ.

ამიტომ გასაკვირველი არა არის რა იმაში, რომ ყველა ხელოვნება ასე ხშირად შეეხება იმ სიმს, რომელიც ადამიანის გრძნობათა ცხოვრებაზე უძლიერეს გავლენას ახდენს, — სქესობრივ სიყვარულს. მუსიკა სქესობრივ გრძნობებს და მათ სულიერ ანარეკლებს გულის ლევის, ვნების, ზეიმის, კაეშანის, გაცბუნების და სასოწარკვეთილებისა, დამორჩილების ექსტაზის და სხ. ბგერებში აძლევს გამოხატულებას, ქანდაკებასა და მხატვრობაში სიყვარული ყოველგვარ ნაკვთებით მუდმივ შეუცვლელ და დაუშრეტელ ტემებად გამოდის ხოლმე. მაგრამ სქესობრივი სიყვარული მხოლოდ მსატვრულ ლიტერატურაში დღესასწაულობს თავის ზეიმებს, არა იშვიათად თავის ორგიებსაც კი. იმ რომანების და სათეატრო პიესების რიცხვი, რომლებშიაც იგი არავითარ როლს არ თამაშობს, თითებზე ჩამოსათვლელია. ჩვენ აქ იმ გათახსირებულ სასიყვარულო ისტორიებს და დრამებს არ ვგულისხმობთ, რომლებიც, თავის მობეზრებამდე იმეორებენ რა სულ ერთსა და იმავე სანტიმენტალურ და გაცვეთილ მოტივებს, ჯერეთ კიდევ მძლავრად აღძრავენ მხატვრულ კულტურის გაუცნობელ ხალხის გრძნობებს. უმაღლეს ხელოვნებას ეხერხება არა ჩვეულებრივად თვალსაჩინო და მძიმე, მაგრამ ამასთანავე ადამიანურ სქესობრივ გრძნობათა და ანარეკლთა გაწვლილიადებულ და აწეწილ-დაწეწილ კონფლიქტების გამოხატვა, და სწორედ ამით აჟღერებს ხოლმე წვლილიად გუნებათა ყველაზე უფრო ღრმა და დაფარულ სიმებს. მოვიგონოთ ისეთი პოეტები, როგორებიც არიან შექსპირი, გოეტე, მიუსსე, ჰეინე, მოპასანი, მუსიკოსები: მოცარტი, ბეთხოვენი, ვაგნერი, შუმანი etc., მხატვრები: ტიციანი, მურილიო ან ბიოკლინი, ძველი საბერძნეთის ან თანამედროვე საფრანგეთის სკოლის მოქანდაკენი. ხელოვნება და გონება (ინტელექტი) ერთი მეორის საპირდაპიროს არ შეადგენენ; ისინი ისევე არიან ერთმანეთზე გადაბმულნი, როგორც აზროვნება და გრძნობიერება ადამიანის ტვინში, თუმცა ყოველ სფეროს ცნობილი დამოუკიდებლობა ახასიათებს. ყოველი მხატვრული გამოსახვა საძირკველში გონივრულ ელემენტებს სდებს, როგორც ყოველი გრძნობა ჩვეულებრივ ცნობილ წარმოდგენებს უკავშირდება.

**ლ. ცაგარელი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

ვის თავად იგულისხმება, რომ ხელოვნება, რომელიც ყოველ შემთხვევაში გრძნობიერებაზე გავლენის მოხდენაზეა დაფუძნებული, თავდაპირველადვე ისარგებლებს გრძნობებით უუმდიდრეს სფეროთი (სქესობრივ სფეროთი)",—სწერს გროოსი. მაგრამ ავტორი გვიჩვენებს აგრეთვე, **„რომ ცოტად თუ ბევრად უმაღლესად განვითარებულ ხელოვნებაში ეროტიულს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენთვის ცნობილ პირვანდელში (პრიმიტიულში).** ამაში გროოსი უეჭველად მართალია, რადგანაც პირვანდელი ეროტიკა მეტად შიშველი, თავისთავად გასაგები, მეტად მგრძნობიერი, მეტად შეხებითი ფაქტი იყო, რომ გრძნობა ისე ღრმად და მრავალფეროვნად გაეკენწლა, როგორც ეს უმაღლეს კულტურულ ადამიანებშია. უკვე მარტო ამ საფუძვლით მოვალე ვარ გროოსი გირჩიოთ. ფაქტები, სახელდობრ პირველყოფილ ხელოვნების შინაარსიც, ამტკიცებს ამას: სულ უპირვანდელი ხელოვნება ძაან ცოტა ეროტიკას ეშიცავს.

## მაისში

მაისში გავჩნდი და პირველად ვცანი ქვეყანა.
მაისში ქალმა გული თვისი ძლვნად მომიტანა;
მაისში ისევ გამომართვა და სხვას უბოძა...
მაისში, ვგონებ, გაითალოს ჩემი კუბოცა...

**კ. ჰიჰინაძე**

## ხახ. სათათბიროს 15 სხდომიდან განდევნილი დეპუტატები



1. ჩხენკელი; 2. სკობელევ ი; 3. ჩხეიძე; 4. პეტროვსკი; 5. მალ ინოვსკი; 6. იაგელო; 7. ხაუსტოვი.

1. შაგოვი; 2. ბურიანოვი; 3. ტულიაკოვი; 4. მანკოვი; 5. კერენსკი: 6. ძიუ ბინსკი.

1. გელოვანი; 2. რისლევი; 3. იანუშკევიჩი; 4 ვერშინინი; 5. სტალიჩანოვი; 6. ვეინისი; 7. სუხანოვი.

# ქართველ მწერალთა წერილები

### ილია ჭავჭავაძე

(დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 8)

პირველი ნახვის შემდეგ მერე ხშირად ვინახულებდი ხოლმე ილიას. იმ დღიდამ მუდმივი თანამშრომელი ვიყავ „ივერიისა“. როცა „ივერია“ 1886 წ. ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, თბილისში გადასვლა დავაპირე. ფეხის მოტეხამ ქარები დამმართა და ექიმებმა თბილისის აბანოები მირჩიეს. მიწერ-მოწერა გავმართე რედაქციასთან. გიგო ყიფშიძემ მომწერა, ილიამ ხუთი თუმნის მოცემა გაბედა თვეში, ჩამოდი და ამ ზაფხულს იმუშავეო.

ეგზამენიებს რომ მოვრჩით სასწავლებელში, ჩაველი გორიდამ თბილსს და დავიწყე რედაქციაში მუშაობა. მაშინ „ივერიის“ რედაქცია იყო ახალბებუთოვის ქუჩაზე ი. ზუბალაშვილის სახლებში, ახლანდელ პეტრე დიდის ქუჩის უკან. ,,ივერიაში‘‘ სამუდამოდ მუშაობდნენ იმ დროს: გიგო ყიფშიძე, იაკობ მანსვეტაშვილი, ილია ბახტაძე, მე და არტემ ახნაზაროვი (სტეფანე ჭრელაშვილი მაშინ, მგონი, ისევ რუსეთში იყო ტყვეობაში). საღამოობით შევიყრებოდით და შემდეგის დღეების მასალას ვკითხულობდით ილიას თავმჯდომარეობით. სწორედ განკითხვის დღეს განვიცდიდით ჩვენი ნაწერების კითხვის დროს ილიას წინაშე ზოგჯერ ისე გაასწორებდა ვისიმე ნაწერს, რომ ნატამალიც აღარ დარჩებოდა სოლმე. კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ხოლმე ილია ნაწერს და ენის მხრივ სულ ბდღვირს ადენდა ისა და გიგო ყიფშიძე. მე და ი. მანსვეტაშვილი უკვე შეჩვეულები ვიყავით და აგრე რიგად ,,ბდღვირს‘‘ ვეღარ გვადენდნენ, ახალგაზდა არტემას კი ბევრი მათრახები ხვდებოდა. არ აკლებდნენ ,,ბდღვირს‘‘ ილია ხონელის (ბახტაძის) საკვირაო ფელეტონებსაც. ხშირად ხონელისა აღარა დარჩებოდა-რა ხოლმე.

— რიღას მაქნისი ვარ, აიღეთ და თქვენა სწერეთო, მწარედ გაიხუმრა ერთხელ ხონელმა.

– აზრი შენი რჩება, ჩვენ მხოლოდ ხორცს ვასხამთო, ეტყოდა ხოლმე ილია. ნუ გეშინიან, მალე მიეჩვევი ჩვენს სტილსაო.

მაგრამ ილია ხონელმა ვერ გაუძლო იმ საშინელს ,,ბდღვირსა‘‘ და მიატოვა ქართული ფელეტონების წერას თავი. საკვირველია, რამდენადაც ქართულ ლაპარაკში გასაოცარი ენა მახვილი და ენამკვეთრი იყო ილია ბახტაძე, რამდენადაც იგი რუსულ მწერლობაში შეუდარებელი იუმორისტი და მწვავე მეკალმე იყო, იმდენად ქართულს წერაში მდარე.

1886 წლიდამ ილია უფრო დაახლოვებით გავიცან. მისი წყლიანი მოსწრებული ლაპარაკი, მისი სამაგალითო დასაბუთებული ბაასი ამა თუ იმ საჭირობოროტო საგანზე ახლაც თითქოს ყურებში ჩამჩურჩულებს. ყველაფერში ბუმბერაზი იყო: ლაპარკში, მსჯელობაში, მუშაობაში, თუნდა ძილში და მადიანს ჭამა-სმაში. მთელი ღამე შეეძლო ემსჯელა-ეკამათნა, ორი დღე-ღამე შეეძლო მჯდარიყო სამუშაოდ. თუ დასვენების შემდეგ დაიძინებდა, დაიძინებდა სწორედ მდევურად. 1886 წ. ზაფხულში სწერდა ყოველ დღე საკმაოდ ვრცელს მეთაურებს დიმიტრი ყიფიანის საპოლემიკოდ ბანკის წესდების ზოგიერთა მუხლების გამო. დღესა და ღამეს ასწორებდა წერის დროს და თითქმის მთელი არქივი ბანკისა მის კაბინეტში იყო. მასწავლებლობაში დაჩვეული ადრე ვდგებოდი და რედაქციაში რვა საათზე მივდიოდი. რედაქციის ოთახზე იყო მიკრული ილიას კაბინეტი და კარი გადიოდა. ერთს დილას რომ შევედი ოთახში, გაზეთებს შინჯვა დავუწყე და ავახმაურე იქაურობა, კაბინეტიდამ ხმა მამცა ილიამ:

— მაქსიმე! შენა ხარ?

მე გამოველაპარაკე და შევედი კაბინეტში. ილია საკინძ-ჩასხნილი იჯდა, აქეთ-იქით ჩამწვარი სანთლები ოდნავლა ბჟუტავდა. მთელ კაბინეტში, კუთხეებში, სკამებზე, თუ დივანზე გადაშლილი ეწყო საქმეები ბანკისა და სხვა და სხვა წიგნები, ალბათ ციტატებისათვის.

— კაცო, განარა დროა ეხლა? მკითხა გაოცებით.

—— აგერ ცხრის ნახევარია დილისა-მეთქი, ვუთხარი. მხოლოდ მაშინ შესწყვიტა მუშაობა, დაუძახა თავის საყვარელ მოსამსახურეს მაქსიმე შარაძეს და უსაყვედურა: კაცო, რაზე ჩამკალი, ვერ მეტყოდი კმარასა.

მაქსიმე თურმე რამდენჯერმე შესულიყო, მაგრამ ისე გართული ყოფილიყო ილია საქმეში, რომ ვერ გაებედნა ,,კმარას'' თქმა.

მოგახსენებთ, რომ ილიამ დაიწყო წინა დღით დილით წერა ზემოდ დასახელებულის წერილებისა და ხელშეუშლელად მეორე დილამდე სწერა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, არა შესტყობიარა, დაწვა იმ დილით და საღამოს ცხრა საათამდე ეძინა, საღამოზე თანამშრომლებმა გავაღვიძეთ და მხოლოდ მაშინ სჭამა პური. უველაფერში მდევი კაცი იყო ეს დიდბუნებოვანი ადამიანი.

მე თბილისში ენკენისთვემდე დავრჩი. რაც შეეხება ჩემს თბილსში გადასვლას სამსახურში, ილიამ სიშინელი უარი მტკიცა: ქალაქის ცხოვრება ჩაგითრევს, მწერლობას თავს დაანებებო. ახლა კაცების საჭირო პროვინციაში, დაბრუნდი, ცოტა სასყიდელს მოგცემთ სტრიქონობითა და იოლად წადიო.

მახსოვს, იმავე წელს ერთს საღამოზე ილიას ვუთხარით, ძალიან კარგი იქნება, ვაყაფშველა და მისთანა ზე-მომადლებული ნიჭით მოსილნი საზღვარგარეთ გავგზანოთ განსავითარებლადაო. ილიამ ხელები გაასავსავა: იქ ფილოსოფიას დაეწაფება, ემაგ პოეტობას კაჩხაძე ჩამოჰკიდებს და დავიღუპებითო, აღარ გაეკარება ფშავის მთებს, რომლებიც აძლევენ მის სხივოსანს პოეზიას საზრდოსაო. განვითარება შინაც შეიძლებაო. ვის რა გამოგვყოლია სასწავლებლიდან. თუ კვალდაკვალ არ მიჰყე ცხოვრებას, თუ განვითარების გზას ერთი წუთითაც ჩამოუდექ, დაჩლუნგდებიო.

თვით ილია მუდამ წიგნების კითხვაში იყო. გამოვიდოდა თუ არა რაიმე შესანიშნავი წიგნი— პოლიტიკო-ეკონომიური, სოციალური, გინა ისტორიული, პირველი ის იყიდდა, გადიკითხავდა, „გამოშიგნავდა“ (მისი საყვარელი სიტყვაა) და შემდეგ გაუზიარებდა სხვასა.

ვშრომობდი სიხარულით და ხალისით ილიასთან. მაგრამ 1887 წ. წანკლიანმა ენამ დიდი უსიამოვნობა შემახვედრა სათაყვანებელ ადამიანთან, რამაც გამოიწვია ჩემი ცსარე წერილები რედაქციასთან და ილიას ბრძნული და დალაგებული წერილი ჩემ საპასუხოდ.

(შემდეგი იქნება)

# გმირი

თვალუწვდენელ ბრძოლის ველზე, სად სიკვდილის რეკავს ზარი,—
სად მებრძოლთა დაჭრილ მკერდით მითქრიალებს სისხლის ღვარი,—
მკერდ-გაშლილი, ახოვანი ხელში ხმალით იდგა გმირი
და მტრის რაზმში მხნედ იბრძოდა, სიკვდილისგან განაწირი!

—

ბრძოლა იყო... ძლევის დროშა ქარის ფრთებზე ქანაობდა...
შიშით ძრწოდა არე-მარე!.. ნაღარის ხმა ბარს აკრთობდა!..
და გმირი კი, მკლავ-მედგარი, მახვილით მტერს მუსრს ავლებდა,—
ხალხის ულვთოდ ჭრას და ხოცვას ჩალის ფასად არ აგდებდა!...

—

გამიკვირდა მხნე მებრძოლის ესოდენი ვაჟკაცობა,—
სიკვდილამდის თავგანწირვა, შეურყევი მტკიცე გრძნობა...
მიველ, ვკითხე: ,,ჰეა, გმირო, მიპასუხე შენსა მზესა —
ვინ აღგინთო გულს ეს გრძნობა, ვისთვის სწირავ სიცოცხლესა?..''

—

— ,,ვინა?.. განა თვით არ იცი?''—მომაძახა მჭექარ ხმითა,—
რონ სიკვდილი კარს გვადგია ცეცხლითა და მახვილითა,
როცა მამულს მტრისგან ელის აკლება და აოხრება
და გულს ჰგმირავს მშობელ ერის ვაება და მწუხარება,—
წესი არის გმირისათვის: მოიხადოს წმიდა ვალი!..''
სთქვა გმირმა და... თანაც ხელში მოიმარჯვა ბასრი ხმალი!..

ვ. გორგაძე

# სია იმ პირთა,

რომელნიც შეიძლება დღეს-დღეობით ქართული სცენის მსახიობებად ჩაითვალონ.

(გვარები ანბანზეა)

**ა.**

აბაშიძე ვასო.
აბაშიძე ტასო.
აბდუშელიშვილი დავ.
ალექსი-მესხიშვილი ვლ.
ალექსიძე ალექსი (ქურდოვანიძე).
ალუდიშვილი ვას.
ამაშუკელი ვლ. (მამუკა).
ამირაჯიბი ცაცა.
ანდრონიკაშვილი ქეთო.
ანდრონიკაშვილი ელო.
ანდრონიკაშვილი კოწო.
არაბიძე ვასო.
არადელი-იმხნელი გიორგი.
ასათიანი ბაბო.
აწყურელი დავით.

**ბ.**

ბალანჩივაძე ვასო.
ბარველი ვანო.
ბაქრაძე თამარ.
ბეგლარიძე ბეგლარ.
ბეჟანიშვილი სუზანა.
ბერიშვილი შაქრო.

**გ.**

გამრეკელი-თორელი ნინო.
გამყრელიძე ვიქტორ.
გამყრელიძე ნინო.
გედევანოვი გედეონ (მირაღიანი).
გელოვანი მიხეილ.
გვარაძე ნიკო.
გოგოლაშვილი თამარ.
გომელაური ზაქ.
გრიშაშვილი იოსებ.
გუგუშვილი ალ.
გუნია ვალ.
გურული გიორგი.

**დ.**

დადიანი შალვა.
დავითაშვილი ნინო.

**ვ.**

ვარვარიძე ვარ.
ვიქტორელი მარიამ.

**ზ.**

ზარდალიშვილი იუზა.

**თ.**

თარალაშვილი იოსებ.
თოიძე ნინო.
თუთბერიძე გიორგი.
თუხარელი ნიკო.

**ი.**

ივანიძე დესპინე.
ივანიძე სოსო.
იმედაშვილი ალ.
იმედაშვილი-ხაშმელი იოს.
იორდანაშვილი გ.

**კ.**

კარგარეთელი ალ.
კანდელაკი გიორგი.
კორიშელი პლატონ.

**ლ.**

ლეჟავა ოლა.
ლოლუა არეთა.

**მ.**

მამულაიშვილი ნიკ.
მამფორია ილია.
მარჯანიშვილი მიხ.
მატარაძე ვიქტორ.
მაჭარაშვილი.
მგალობლიშვილი დავით.
მგალობლიშვილი ნიკ.
მდივანი მარო.
მდივანი ბუდუ.
მესხი ეფემია.
მესხი კოტე.
მესხი დავით.
მურუსიძე ანდრო.
მჭედლიშვილი ვანო.

**ნ.**

ნემო (ჯანოევი მიხ.)

**პ.**

პიერეტა (საგინაშვ.-ტოროშელიძე)

**ჟ.**

ჟივიძე იოსებ.

**რ.**

რონელი ბაბო (პიასეცკაიასი).

**ს.**

სანდალა (გაჩეჩილაძე).
სარაული მიხ.
სარაული (სანიკიძე ვლ.).
სათვაროვ-აბაშიძისა მარიამ.
სათვაროვი შაქრო.
სვიმონიძე (გოგოლაშვილი სვ.).

**უ.**

ურბნელი გაიანე.
ურუშაძე ვას.
ურუშაძე ზაქრო.

**ქ.**

ქავთარაძე ვიქტორ.
ქილარჯიშვილი მარგარიტა.
ქიქოძე ანნა.
ქორელი (ქორიძე მიხ.)

**ღ.**

ღოღობერიძე ოლიმპ. (ლიპა)

**ყ.**

ყალაბეგიშვილი ალ.
ყიფიანი კოტე

**შ.**

შათირიშვილი კოტე.
შალიკაშვილი ვალ.
შანშიაშვილი ალ.
შარაშიძე შალვა.
შოთაძე პაშა.
შოთაძე მიხ.

**ჩ.**

ჩაგუნავა ნიკ.
ჩარკვიანი დავ.
ჩარკვიანი გრ.
ჩარკვიანი აპოლონი.
ჩერქეზიშვილი ელ.
ჩხეიძე ნინო.
ჩხეიძე ანიკო.

**ც.**

ციციშვილი ნიკ.

**წ.**

წუწუნავა ალ.
წუწუნავა ევლინა.

**ხ.**

ხარაზიშვილი სტ.
ხონელი (გოგოლაშვილი შალვა)

**ჯ.**

ჯავახიშვილი ნატო.
ჯაყელი ალ.

სულ . . 106

გიგზავნით ამ სიას დასაბეჭდათ. აქ მოთავსებულნი

არიან მხოლოდ ცოცხლები. მათ შორის ზოგი ისეთია, რომ შეიძლება დღეს მიტოვებული ჰქონდეს სცენა, მაგრამ ქართული სცენისათვის, როგორც პროფესიონალ მსახიობს ხანგრძლივ უმსახურნია, ზოგიც ისეთი, რომელსაც ხანგრძლივ არ უმსახურნია, შეიძლება მარტო ერთი სეზონი მოუთევია, მაგრამ მაინც პროფესიონალი ყოფილა. ზოგი კიდევ ისეთია, რომელიც წლევანდელ, უკანასკნელ სეზონში მსახურებდა, როგორათაც პროფესიონალი. ეს სია მასალაა მომავალი ყრილობისა და თან იმ აზრის გამფანტველი, ვითომდა ქართველი მსახიობნი ერთობ მცირე რიცხოვანი ვიყვეთ. სიის შედგენის დროს მე მხოლოდ პროფესიონალური მხარე მაინტერესებდა და არა ნიჭი, გამოჩინება, ან კიდევ დიდათ საპატიო ღვაწლი რომელმე სცენის მოყვარისა, ან სასცენო მოღვაწისა. თუ ვინმე პროფესიონალთაგანი გამომაკლდა, წინასწარ დიდ ბოდიშს ვიხდი მის წინაშე. ნაკლის შევსებას-კი რედაქციის მიერ მოველი. *)

**შალვა დადიანი**

---

*) ამ სიიდან გამორჩენილ მსახიობთ ვსთხოვთ თავისი ვინაობა და ნამსახურობის ცნობები მოგვაწოდონ. დამსახურებულ სცენის მოყვარეთა სია შემდეგ დაიბეჭდება. **რედ.**

## წვრილი ამბები

✦ **ქართ. დრ. საზ-ის გამგეობა** უკვე შეუდგა მომავალი სეზონისთვის ზრუნვას. უმთავრესი ძალნი მოიწვიეს კიდეც.

✦ **მომავალი სეზონისთვის რეპერტუარის** შედგენას შეუდგა თბილ. დრამ. საზ-ის გამგეობა; ამიტომ გამგეობა ყველასა სთხოვს, ვისაც ორიგინალური, გადმოკეთებული ანუ ნათარგმნი პიესა აქვს, გამგეობას გამოუგზავნოს ამა წლის პირველ ივნისამდე.

✦ **„სინათლემ“** კვირას კიდევ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა თეატრში.

✦ **უკანასკნელი წარმოდგენა** გაიმართა ქართ. თეატ. ოთხშაბათს, 30 აპრილს. დაიდგა „გადაჭრილი მუხა“. ხალხი ბევრი დაესწრო, წარმოდგენამ კარგა ჩაიარა.

✦ **ველისციხის სცენის მოყვარეთა წარმომადგენელი**, ს. მაჭავარიანი, გასულ კვირას თბილისს იყო და დრამ. საზ. გამგეობას მოელაპარაკა ველისციხეში დრამ. საზ-ის დაარსებაზე. დრამ. საზ ის გამგეობამ შესაფერი დარიგება და სახელმძღვანელო წესები მისცა.

✦ **ველისციხეში არსდება** დრამატიული საზოგადოება, რომელიც მთელ ქიზიყში (სიღნაღის მაზ ) იმოქმედებს და შესაფერ ადგილებში წარმოდგენებს მოაწყობს.

✦ **ქართ სცენის მოღვაწეთა ყრილობისათვის** ექ. ვახტანგ ღამბაშიძე მოხსენების წაკითხვას აპირებს დრამატ. კურსების განახლების და უკეთ მოწყობის შესახებ. ამავე ყრილობისთავის სოფ. ტარუაშვილი ამზადებს მოხსენებას „დრამატიულ საზოგადოებათა კავშირი“.

✦ **ეფემია მესხს წელს შეუსრულდა** 30 წელიწადი, რაც სამშობლო სცენაზე მოღვაწეობს.

✦ **ს. ერთაწმინდელმა** დასწერა ერთ მოქმედებიანი დრამა „დაჭრილი არწივი“, მუშათა ცხოვრებიდან. დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

✦ **ჟურნ „თეატრი და ცხოვრება“** თავისი ხარჯით მთელის წლით გაუწერა ლაილაშის სამკითხველოს ი. მ. ხვადაგიანმა.

✦ **წმ. ნინოს უბნის—კუკიის უფასო** სამკითხველოს გამგეობა ოთხშაბათს, 14 მაისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო დილას, თვის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მონაწილეობას მიიღებენ: გერონტი ქიქოძე (წაიკითხავს „პოეზია და სინამდვილე“) და ახალგაზდა მწერალ-მომღერალნი.—ეს სამკითხველო აუარებელ მკითხველთ იზიდავს, მაგრამ საწევრო ფული იმდენი არ შემოსდის, რომ ხარჯები დაჰფაროს. სწორედ ამ მიზნით იმართება დილა და, იმედია, საზოგადოებაც თანაგრძნობით მოეპყრობა და მრავლად დაესწრობა.

✦ **სოსო რომანიშვილის** მოღვაწეობის 10 წლის იუბილე დიდის აღფრთოვენებით გადიხადა ხალხმა სახალხო სახალში. უთხრეს სიტყვები, მიართვეს ძვირფასი საჩუქრები და სხ. პიესებიც საუცხოვოდ იყო დადგმული ალ. წუწუნავას მიერ.

## ავადმყოფ მსახიობქალის დესპინე ივანიძის სასარგებლოდ

რედაქციაში შემოიტანეს: **ორი მანათი**—ნიკო გოცირიძემ; **თითო მანათი:** სოფ. ტარუაშვილმა, ნიკო ჩაგუნავამ, ნატ. ჯავახიშვილმა, ან. ქ—ძემ, მარო მდივანმა, ტასო აბაშიძემ, იუზა ზარდალიშვილმა, ვალ. გუნიამ, ვასო აბაშიძემ, ა. საგინაშვილმა, ალ. იმედაშვილმა; **ათათი შაური:** პაშამ, კ. მ—მა, ვ. ბარველმა, ვ. მელანიაშვილმა, ნ. ციციშვილმა, ილ. მამფორიამ, ბეგლარამ, ელ. ჩერქეზიშვილმა; **თითო აბაზი:** ვ. ნაცვლიშვილმა, ფირუზამ; **X**-მა **17 კ.**, სულ **17 მან. და 57 კ.**, ეს ფულიც გაევზავნა ქუთაისის დრამ. საზოგ. წევრს ივ. პურადაშვილს დანიშნულებისამებრ გადასაცემად. **რედ.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

**ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი**

**იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.**

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

**ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.**

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

**ჟურნალის ფასი:** წლიურად—5 მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ.. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

**ხელისმოწერა მიიღება:** ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის“ სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, სადამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. **„Театри да Цховреба“** Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.**

წელიწადი მეოთხე

# თემი

წელიწადი მეოთხე

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

**გამოდის ორშაბათობით**

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა **,,რაჭა-ლეჩხუმი''**, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას **,,ავგუსტ ბებელი''**, რომელიც საკუთრად ,,თემი''-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება ,,თემი''-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4).

**ფასი გაზეთისა:** წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

**მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.**

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. **„Теми“**.

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**

# იმერეთი

ყოველდღიური საპოლიტ.-სალიტ გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით

წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

**მისამართი:** Кутаисъ, ред. газ. **„Имеретн“**.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე**

**გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით**

# შრომა

**სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ.. ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты **„Шрома“**.

სტამბა ,,ჰერმესი'', გრაფის ქუჩა № 6. Тифлисъ, тип. „Гермесъ“

# მიიღება დასაბეჭდად განცხადებანი

**ექიმი ა. ღ. იაშვილი**
(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
(ორდინატორი თბილ. სარკინის გზო საავადმყოფოსი)
კანის, ვენერიული და ათაშანგისა
შუადღით 1—$2^1/_2$ ს., საღამოთ 6—8 ს
მოსკოვის ქ. № 4.

**ექიმი ივ. გ. გომართელი**
შინაგან ავადმყოფობათა
დილის 8—12 ს.,
საღამოთი 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი
**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

**ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე**
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბანის ქ. № 9.

**ექიმი გ. გ. მაღალაშვილი**
შინაგან ავადმყოფობათა
დილით 11—12 ს., საღამოთი 5—6 ს.
ოლგას ქ. № 39.

**ექიმი ნ. ე. თიკანაძე**
(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებთა
დილით 8—10 ს.
კიროჩნი ქ. № 18.

ხელოვნურად სამკურნალო და
შეზავებული ხილეულობის წყალი

**მიტროფანე ლაღიძე** და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.
(10—6)

**Воспоминанія**
и
ХАРАКТЕРИСТИКИ
**Г. М. ТУМАНОВА**
Въ 3-хъ вып.
Цѣна каждаго выпуска **75** коп.
Складъ у автора,
Барятинская ул. д. № 6.
(5—1)

**სანატორიუმი**
**ექ. ვახტანგ ლამბაშიძისა**
პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე
დაწვრილებითი პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.
მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე
(წ.)